მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და მოსაზრებები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის პროექტისა და სკრინინგის განცხადების შესახებ

I. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის პროექტი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, დამგეგმავმა ორგანომ, სკრინინგის განცხადებასთან ერთად, უნდა წარადგინოს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან პროექტი, რომელიც *„უნდა მოიცავდეს მოკლე ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ“*.

განსახილველად წარმოდგენილი 47-გვერდიანი სტრატეგიული დოკუმენტის უდიდესი ნაწილი ეთმობა არსებული სიტუაციის ანალიზს, ხოლო სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს - სულ რაღაც ერთი გვერდი. ამასთან, არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები. ეს, გარდა იმისა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნის დარღვევაა, შეუძლებელს ხდის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (შემდგომში - სგშ) ჩატარების აუცილებლობაზე სრულფასოვან მსჯელობას.

ჩვენი აზრით, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის მასშტაბისა და ხასიათის დასაფარად და სგშ-ს ჩატარების თავიდან ასაცილებლად, დამგეგმავმა ორგანომ გამიზნულად არ წარმოადგინა სტრატეგიული დოკუმენტის ის ნაწილი, სადაც ასახულია მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები; მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწილი უკვე არსებობს (და მოითხოვება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით), და თანაც ეს დასტურდება თავად სტრატეგიის პროექტით. სტრატეგიის პროექტში არაერთხელ ნახსენებია, რომ უკვე შემუშავებულია სამოქმედო გეგმა; მაგალითისთვის, იხილეთ:

- *„მთის ეროვნული საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების გათვალისწინებით მომზადებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია შემუშავებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ“*(გვ. 4);
- *„სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს მაღალმთიანი განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების დაფინანსების ძირითადი წყარო“*(გვ. 46);
- *„სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისათვის უზრუნველყოფილ იქნება საერთაშორისო პარტნიორების და დონორი ორგანიზაციების ჩართულობა“*(გვ.46);
- *„...სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირებაზე პასუხისმგებელი იქნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო“*(გვ.46);
- *„პერიოდულად მოხდება სტრატეგიის განხორციელების შესახებ ანგარიშების მომზადება, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, სტრატეგიის ამოცანებისა და სტრატეგიის ხედვის მიღწევის შეფასება, აგრეთვე სტრატეგიის განახლება“*(გვ.47).

მიუხედავად ამ უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანებისა, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის ერთი ნაწილი მაინც იძლევა წარმოდგენას დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ხასიათსა და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის შესაძლებლობაზე. ესაა დოკუმენტის **<u>მე-6 თავი - შედეგების ინდიკატორები.</u>** აქ მოცემული არაერთი ინდიკატორი პირდაპირ მიუთითებს სტრატეგიის განხორციელებით გამოწვეულ მაღალ რისკებზე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

საგულისხმოა, რომ თავად შედეგების ინდიკატორების არსებობაც მიუთითებს იმაზე, რომ <u>შემუშავებულია ღონისძიებები</u>, რომელთა განხორციელებით <u>მიღწეული შედეგები</u> უნდა გაიზომოს დოკუმენტში მოცემული <u>ინდიკატორებით</u> (სხვაგვარად, ამ თავის არსებობა დოკუმენტში, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია). ეს, კიდევ ერთხელ მიუთითებს დამგეგმავი ორგანოს არაკეთილსინდისიერებასა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების თავიდან აცილების მცდელობაზე.

ასე, მაგალითად, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის მე-6 თავში ვხვდებით შემდეგ ინდიკატორებს:

- რეაბილიტირებული დასახლებები;
- სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებული მიწის ფართობი;
- ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 1000 კაცზე;
- მაღალმთიანი დასახლების საწარმო / მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსის მქონეთა რაოდენობა, ბრუნვა, გამოშვებული პროდუქცია;
- სასმელი და სარეკრეაციო მიზნით გამოყენებული მინერალური წყლების საბადოების რაოდენობა;
- ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და ზარალის შემცირების პროგრამებით მოსარგებლეთა რაოდენობა;
- მაღალმთიანი დასახლებებიდან მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრამდე, ასევე საქართველოს მნიშვნელოვან ურბანულ ცენტრამდე მიღწევის დრო;
- ტურისტების ღამისთევათა რაოდენობა მაღალმთიან დასახლებებში;
- რესტავრირებული კულტურის ძეგლებისა და ობიექტების რაოდენობა;
- მიწოდებული სასმელი წყლის მოცულობა / სასმელი წყლის აბონენტების რაოდენობა;
- ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობა;
- კავშირგაბმულობით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობა;
- მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემით;
- მუნიციპალიტეტების რაოდენობა, სადაც ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებულია ალტერნატიული ენერგიის წყაროები.

ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორებით გაზომვადი შედეგების მისაღწევად გატარებულ ღონისძიებებს (ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევს გამო) შესაძლოა, ჰქონდეთ <u>პირდაპირი ან/და არაპირდაპირი, ხანგრძლივი და შეუქცევადი ან მაღალი კუმულაციური ზეგავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.</u>

II. სკრინინგის განცხადება

სამწუხაროდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებას, არ მოჰყვა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება, მათ შორის, კანონქვემდებარე აქტის, რომელიც დაადგენდა დეტალურ მოთხოვნებს სკრინინგის განცხადებისადმი (კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი ძალზე ზოგადი ხასიათისაა). ამის გამო, დამგეგმავი ორგანო თავის განცხადებაში კოდექსის 23-ე მუხლის თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენს.

ასე, მაგალითად, განცხადების მეორე ნაწილში (რომელიც იწყება სიტყვებით: „რაც შეეხება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს,..“) დამგეგმავი ორგანო იყენებს 23-ე მუხლის მე-6 პუნქტს და პირდაპირ კარნახობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ამ უკანასკნელმა.

რაც შეეხება კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესრულებას, განცხადება არ პასუხობს არცერთ მათგანს. კერძოდ:

(ა) ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (მათ შორის, ამ არეალში მცხოვრები მოსახლეობის) შესახებ

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #671 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მაღალმთიან დასახლებაზე[1]. მიუხედავად ამისა, განცხადების ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს მაინც არ იძლევა კოდექსით მოთხოვნილი „სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის“ განსაზღვრის შესაძლებლობას. ამ მიზეზით კი, დოკუმენტს სგშ არ უნდა ჩაუტარდეს.

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი ნათლად აყალიბებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალს:

> *„სტრატეგიის მომზადების პერიოდისთვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული ჰქონდა 43 მუნიციპალიტეტში მდებარე 1 730 დასახლებას. მაღალმთიანი დასახლებების ყველაზე მეტი რაოდენობა - 697 დასახლება - ზღვის დონიდან 1 000 მეტრიდან 1 500 მეტრამდე მდებარეობს (40%), ზღვის დონიდან 1 000 მეტრამდე - 522 დასახლებება (30%), ხოლო ზღვის დონიდან 1 500 მეტრს ზემოთ 511 დასახლებაა (30 %).“*

(ბ) ინფორმაცია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ

განაცხადში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. ინფორმაციის წარმოუდგენლობის დასაბუთება აბსურდულია. დამატებით - ზემოთ, იხილეთ კომენტარი პირველ და მეორე გვერდებზე.

ამგვარად, წარმოდგენილი განაცხადი, ისევე როგორც სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი, არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის გაწერილ მოთხოვნებს და საჭიროებს დამატებით დეტალიზაციას. ამასთან, წარმოდგენილი მწირი ინფორმაციის საფუძველზეც კი, ნათელია, რომ სტრატეგიული დოკუმენტი საჭიროებს სგშ-ს ჩატარებას.

[1] იხ. დასახლებათა ჩამონათვალი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3143135?publication=0